გლობალიზაცია და განათლების მენეჯმენტი (დისტანციური სწავლების მაგალითზე)

ჭანტურია გვანცა
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხატიაშვილი ხატია
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გლობალიზაციის პირობებში, ფუნდამენტური კავშირი ბიზნესს, გარემოსა და საზოგადოებას შორის გახდა ამ სამყაროს განუყოფელი ნაწილი. შესაბამისად, ბიზნესის როლი მნიშვნელოვანია ის ცნებები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ პასუხისმგებლობასთან და მდგრადობასთან და აღიარებას პოულობს ბიზნესის მართვის ძირითად ელემენტებში. ასეთი მზარდი სირთულე და ურთიერთდამოკიდებულება ითხოვს ახალ მიდგომებს. გარკვეულ კომპანიებს ესაჭიროება მართვის კომპლექსური საშუალებები, რომლებიც ეხმარებიან ეკოლოგიური, სოციალური და მართვის პრობლემების სტრატეგიულ აზროვნებასა და ყოველდღიურ საქმიანობაში ჩართვისათვის. ისინი საჭიროებენ მხარდაჭერას და დაინტერესებულ მხარეთა შორის დიალოგის წამოწყებას. ეს კი საჭიროებს ნიჭიერი ლიდერების არსებობას, რომლებიც შეძლებენ წინასწარ განჭვრიტონ პრობლემები, დასახონ მიზნები და აღასრულონ თავიანთი პასუხისმგებლობები.

ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება საჭიროებს დაწესებულებების ჩართულობას, რომლებიც პირდაპირ აყალიბებენ საქმიან ქმედებას, განსაკუთრებით კი აკადემიურ წრეებში. აკადემიური დაწესებულებები ეხმარებიან ბიზნესის ლიდერთა ფორმირებაში, მათი ქცევის ჩამოყალიბებაში, ბიზნეს განათლებაში, სამეცნიერო კვლევებში, მენეჯმენტის განვითარების პროგრამებში და კადრების მომზადებაში. ამგვარად, ინსტიტუტებს თუ კვლევით დაწესებულებებს გააჩნიათ იმის პოტენციალი, რომ პოზიტიური ცვლილებები ჩაატარონ და ჩამოაყალიბონ აყვავებული და წარმატებული საზოგადოება.

ამისათვის კი მნიშვნელოვანია, რომ აკადემიურმა დაწესებულებებმა ხელი შეუწყონ სტუდენტებს:

1. უნდა ჩამოყალიბდეს სტუდენტებისათვის ისეთი პირობები, რათა მათ განავითარონ ბიზნესი და საზოგადოება;

2. უნდა დაიწეროს და ჩამოყალიბდეს სოციალური პასუხისმგებლობის მქონე გლობალური მნიშვნელობის პროგრამები საერთაშორისო ინიციატივების ჩართვით;

3. უნდა შეიქმნას საგანმანათლებლო ბაზა, გარკვეული მასალები, განვითარდეს შესაბამისი პროცესები და მუშაობის პირობები, რომლებიც ეფექტური განათლების მიღების საშუალებას მისცემს მათ;

4. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა კონცეპტუალურ და ემპირიულ კვლევებში, რათა განათლებას მიეცეს მდგრადი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა.

5. პარტნიორობას ექცევა უდიდესი მნიშვნელობა. ძალიან საინტერესოა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების პასუხისმგებელი პირების ურთიერთობას, რათა გაფართოვდეს განათლების სისტემა და ფართო ასპარეზი მიეცეს სტუდენტებს. ასევე ხელი უნდა შეეწყოს დიალოგს და დისკუსიებს მასწავლებლებს, ბიზნეს პარტნიორებს, მოსწავლეებსა და სხვადასხვა დაწესებულებებს შორის.

ჩვენს ქვეყანაში განათლებას ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა, თუმცა განათლების სისტემა უფრო ორიენტირებული იყო ზოგადი განალების მირებაზე; დღევანდელ დღეს მას ასევე ძალიან მნიშვნელოვანი როლი აკისრია, თუმცა დღეს უფრო ვიწრო განათლებას ენიჭება პრიორიტეტი. საგანმანათლებლო სფეროში ჩატარებული რეფორმა ფეხდაფეხ მიყვება თანამედროვეობას.

აქედან გამომდინარე დღევანდელ დღეს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები იკავებს მნიშვნელოვან როლს ინფორმაციის ცირკულაციასა და ცოდნის სისტემაში. XXI საუკუნეში, გლობალიზაციისა და ახალი ტექნოლოგიების ეპოქაში ინტერნეტი იქცა ტექნიკურად ადექვატურ ხელსაწყოდ, რომელმაც წაშალა საზღვრების იდეა.

აღსანიშნავია, რომ მედია საშუალებები უფრო აქტუალურია ვიდრე სიტყვა, კალამი და ცარცი. მედიის საშუალებით შესაძლებელია ინტერაქტიული ურთიერთობა სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის. ინფორმაციის გაცვლის მიზნით დისტანციური სწავლებისათვის იყენებენ ელექტრონულ მედიას; მისი საშუალებით შესაძლებელია სტუდენტების ცოდნის კონტროლირება. რამდენადაც დღეს თითქმის ყველას შეუძლია მუშაობა კომპიუტერთან, ამდენად სტუდენტებს სრულიად თავისუფლად შეუძლიათ მიიღონ განათლება მისი საშუალებით. ანგლოფონურ სამყაროში ამას ეწოდება e-learning – თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება – მულტიმედია და ინტერნეტი – სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ცნობილია, რომ ცოდნის შესაძენად საჭიროა სწავლა, ამისათვის კი - დრო. დღევანდელ საზოგადოებაში დროის სიმცირის გამო დისტანციური სწავლება არის საუკეთესო საშუალება დაუსწრებლად განათლების მისაღებად.

ასევე ასეთი განათლება უადვილებს განათლების მიღებას იმ სტუდენტებს, რომლებიც დისტანციურად დაშორებულ ადგილებში ცხოვრობენ ან რომლებსაც არ გააჩნიათ ნორმალური განათლების მიღების პირობები. ამ ტიპის განათლება თავის თავზე იღებს ყველა ორგანიზაციულ საკითხს კურსებზე ჩაწერიდან სწავლის დასრულებამდე.

ეს სისტემა ფართოდ გამოიყენება დასავლეთის უნივერსიტეტებში. წარმატებული სწავლებისათვის დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მეთოდებს, პროცედურებს, პროგრამულ საშუალებებსა და მათ უზრუნველყოფას.

დღეს ცოდნის გადაცემა აღარ არის განათლების უპირველესი მიზანი, მთავარია მოსწავლემ ისწავლოს სათანადო ინფორმაციის მოძიება, მისი შეფასება და ცოდნად გარდაქმნა.

ამ სისტემაში ერთიანდება სხვადსხვა სახის ფაქტორი: ფსიქოლოგიური - აღსაქმელი საგნის მიმართ, დიდაქტიკური – სწავლების, მასწავლებლის დამრიგებლური როლის გამო მატერიალური - მოსწავლისა და მასწავლებლის დროულ-სივრცობრივი დაშორების გამო.

ამრიგად, ახალი ტექნიკური საშუალებები მნიშვნელოვნად აადვილებს სასწავლო პროცესს სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის და მათი განვითარების ხელშეწყობა პრიორიტეტული უნდა იყოს ჩვენი განათლების სისტემისათვის.

დისტანციური სწავლების გამოყენება შესაძლებელია ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიაში, ლინგვისტიკაში და ნებისმიერ სხვა სფეროში.

ამისათვის არსებობს ვირტუალური უნივერსიტეტები, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ციფრული ბანაკები (campus numerique).

საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიები ხსნის საოცრად მრავალფეროვან და მდიდარ პერსპექტივებს სტუდენტებისა და მასწავლებლებისავის. მიუხედავად დამახასიათებელი სირთულეებისა, მათი გამოყენება აადვილებს სწავლას. ამ ტექნოლოგიებს გააჩნია დიდი პოტენციალი. მათი გამოყენება და წარმატება გარანტირებულია სტუდენტისათვის, რაც აძლევს მათ საშუალებას, ავტონომიურად მართონ თავიანთი სწავლა. დღეს ეს სისტემა ფართოდ გამოიყენება დასავლეთის მრავალ უნივერსიტეტში, რაც ძალზე უადვილებს სტუდნტებს სწავლას.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი ტექნოლოგიური წინსვლა ვითარდება სამი მიმართულებით: აუცილებელი პედაგოგიური ცვლილება, რომელიც გულისხმობს ურთიერთობას სტუდენტსა და მასწავლებელს და სტუდენტსა და სტუდენტს შორის. პედაგოგიური ცვლილებისთვის აუცილებელი წინაპირობაა ინტერაქტიულობა და ჯგუფის პროაქტიურობა (თანამშრომლობა); ასევე ტექნოლოგიური

საშუალებების პროპორციების სწორად და სწორად განსაზღვრა. დისტანციური სწავლება ფეხდაფეხ მიყვება თანამდეროვე მოთხოვნებს უმაღლესი განათლების სფეროში, რაც ესადაგება საქართველოში მიმდინარე სასწავლო რეფორმას; წარმატებული მუშაობის შედეგად შეიძლება მივიღოთ ახალი თეორიული მოდელები და დავნერგოთ ახალი სისტემები, ასევე პედაგოგიური პლატფორმის ტექნიკა. სავსებით შესაძლებელია შევქმნათ ახალი ქართული ტიპის პლატფორმა. დღეს დისტანციური სწავლება მნიშვნელოვან კონკურენციას უწევს ტრადიციულ სწავლებას, რამდენადაც იგი ძალიან საასრგებლო, ნაყოფიერი და მრავლისმომცველია.

Education Management and Globalization (Distance Learning Example)

Tchanturia Gvantsa
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Khatiashvili Khatia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

In a global marketplace, understanding the funda¬mental connections between business, environment, and society has become essential. The roles and responsibilities of business as a global force are becoming more urgent and complex. Concepts related to social responsibility and sustainability are gaining recognition as essential elements of business management.

Increasing complexity and interdependence require new approaches. Companies need integrative management tools that help embed environmental, social, and governantal concerns into their strategic thinking and daily operations. They require talented leaders who can not only advance organizational goals, but also fulfill their obligations.

Any institutions of higher learning involved in the education of current and future manag¬ers are voluntarily committed to engaging in a continuous process of improvement of some principles and their application, reporting on progress to all stakeholders and exchanging effective practices with other academic institutions:

1. We must develop the capabilities of students to be future generators of sustain¬able value for business and society.

2. We must incorporate into our academic activities and curricula the values of global social responsibility as portrayed in international initiatives.

We will create educational frameworks, materials, processes and environments that enable effective learning experiences for responsible leadership.

3. We must engage in conceptual and empirical research that advances our understanding about the role, dynamics, and impact of corporations in the creation of sustainable social, environmental and economic value.

4. The higher education institutions should take part in conceptual and empirical researchers in order to implement the social and economical meaning to education.

5. Relationship between different educational institutions are deemed to be significant. This helps widespread student education and outlook. We must facilitate and support dialogue and debate among educators, business, government, consumers, media, civil society organizations and other interested groups.

In our country a great attention was always played to didactics. Nevertheless the educational system institutions provided more common education. Nowadays we are still extremely serious about this question, but narrow field of instruction is believed to be more sufficient. Educational reforms are in compliance with the modern world.

So the new informational and communicational technologies play a great role in the informational circulation and in the educational system. In the XXI century in an area of globalization and new technologies internet has become a technically adequate tool, which erased the idea of borders.

We should admit that media is more actual tool than „word", „pencil" and „chalk". Media lets students and lecturers to interact. Electronic media is used for informational exchange and distance learning. Thus we can control student knowledge. As long as almost everyone has access to the internet, students can easily learn with its help - e-learning.

The use of modern technologies - multimedia and internet - will improve the quality of their education. In general knowledge means learning and the later means time.

In modern society distance learning means we save time and this obviously is the most important thing in our lives.

This type of education makes learning more convivial for those who live in distinct places and have not got decent educational conditions. With e-learning there are no organizational problems anymore. It is widely used in Western Universities. For successful learning great attention is paid to the methods, procedures and software.

There are some virtual universities, which have the digital campus armed with new and suitable technologies.

This type of technological progress is developed in these directions: obligatory pedagogical change, which means relationship between students and professors and between students. The pedagogical change requires Interaction and group's proactivity (collaboration), clearly and correctly de-

fines the technological methods' proportion. Distance learning goes with modern exigencies in Georgia's supreme education's sphere, which corresponds to the education's reform in Georgia. After the successful work we could receive the new theoretical models and create new systems. The pedagogical platform's technics is the new possibility and experience and we could create the Georgian platform. Today the distance learning competes with the traditional learning system as it is very useful, productive, favorable and multiple-valued.

References:

Dessus,Ph.,Benoit.L.,Baillé,J., Etudes experimentales sur l'enseignement à distance, DEACT, Laboratoire des Sciences de l'Education Université Pierre-Mendès-France, BP 4738040 GRENOBLE CEDEX

Internet Sources:

Michel,J.L., La théorie distantiatrice et la formation à distance, , http://www.cetec-info.org/jlmichel/Distanciation.Crefi.html, décembre 1995

http://en.wikipedia.org/wiki/Distance_education

http://www.ead.cfwb.be/